საქართველოს მთავრობის

დადგენილება №126

2025 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს 2023 – 2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №619 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს 2023 – 2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №619 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2022, 190040000.10.003.023830) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს 2023 – 2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს 2023 – 2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია“ და „კაპიტალის ბაზრის განვითარების 2023 – 2028 წლების სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა“.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული:

ა) „საქართველოს 2023 – 2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია“ და „ინდიკატორების პასპორტი“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) „კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა“ ამოღებულ იქნეს.

3. დადგენილებას დაემატოს „კაპიტალის ბაზრის განვითარების 2023 – 2028 წლების სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა“ და „საქართველოს 2023 – 2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის საჯარო და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული 2024 წლის კონსულტაციების ანგარიში“ და დამტკიცდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს „კაპიტალის ბაზრის განვითარების 2023 – 2028 წლების სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.